პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლები

მერაბ ონიანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით შესაძლებელია უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა მათზე, მათ ტიპოლოგიაზე. ფსიქოლოგიური ტიპების ცოდნა კი მოწოდებულია განავითაროს ხელმძღვანელის ცნობიერება ისე, რომ აამაღლოს მართვის ეფექტურობა გადაწყვეტილებების მიღების დროს. კარგი ურთიერთობა დაამყაროს პერსონალთან და მოახერხოს ორგანიზაციის თანამშრომელთა მაღალი შრომითი მოტივაციის უზრუნველყოფა პროფესიული გარემო აქცენტით პიროვნებათაშორის ურთიერთობებზე, მენეჯერისგან მოითხოვს თანამშრომლების, კოლეგების თუ ელემენტების გაგებას და უნარს შეესაბამოს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, არჩევანს, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ და ქცევის სტილს. ეს კი განაპირობებს ხელმძღვანელის ჩამოყალიბებას ურთიერთობების კარგ სპეციალისტად.

პიროვნების უფრო მეტად ზოგადი დინამიკური სტრუქტურა არის მისი ყველა შესაძლო ინდივიდუალური თავისებურებების განზოგადება ორ ჯგუფად, რაც პიროვნების ორ ძირითად მხარეს ქმნის:

1. პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები;
2. პიროვნების საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები;

ინდივიდის მდგრადი თავისებურებების კანონზომიერ თანაფარდობას, რომელიც ახასიათებს ფსიქიკური მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეებს უწოდებენ ტემპერამენტს. ი. პავლოვის აზრით, ტემპერამენტი არის ადამიანის ქცევის ინდივიდუალური თავისებურებების „ძირითადი ნიშანი". ტემპერამენტის მდგენლებია აქტიურობა და ემოციურობა. ასხვავებენ სანგვინიურ, ფლეგმატიკურ, ქოლერიულ და მელანქოლიური ტიპის ტემპერამენტს. ტემპერამენტის ტიპების ცოდნა გვეხმარება, რომ სწორად შევუფარდოთ კონკრეტული თანამშრომლის შესაძლებლობები იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ესა თუ ის პროფესია ითხოვს. შევარჩიოთ ურთიერთობის მისაღები ფორმები და მეთოდები, ეფექტურად ვმართოთ კოლექტივი.

სანგვინიკები სწრაფად ამყარებენ კონტაქტს ადამიანებთან, სიცოცხლისუნარიანები არიან, იოლად გადაერთვებიან საქმიანობის ერთი ფორმიდან მეორეზე და არ უყვართ ერთფეროვანი სამუშაო. სანგვინიკი იოლად აკონტროლებს თავის ემოციებს, სწრაფად ეგუება ახალ სიტუაციებს, აქტიურად ერთვება კონტაქტებში მისი მეტყველება ხმამაღალია, სწრაფია, მკაფიოა თან ახლავს გამომსახველობითი გამომეტყველება, მიმიკა და ჟესტები. მოსწონს კომპლიმენტები მისი გონებრივი შესაძლებლობების მიმართ.

ფლეგმატიკი გაწონასწორებულია ქცევებში, მისთვის უცხოა გაუწონასწორებელი, სწრაფი გადაწყვეტილებები, ის ნელა გადაერთვება საქმიანობის ერთი სახიდან მეორეზე, დიდხანს ადაპტირდება ახალ სიტუაციაში, ნაკლებად აქტიურია. მოქმედებებისკენ აღსაძრავად სჭირდება გარედან ძლიერი ბიძგი. მას ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორიცაა მოთმინება და საკუთარი თავის ფლობა. მისი მეტყველება წყნარია, მკვეთრად გამოხატული ემოციების გარეშე;

ქოლერიკი გამოირჩევა დიდი შრომისმოყვარეობით, აქტიურობით უსაზღვრო ენერგიულობით. შეუძლია იმუშაოს შეუსვენებლად, დიდი აღმაფრენით დაძლიოს წინააღმდეგობები. არც თუ იშვიათად ასეთი აღმაფრენას დეპრესია მოყვება ხოლმე, ძალების დაცემა, განსაკუთრებით, როდესაც მისი ძალისხმევა წარმატებით არ იქნება გამყარებული. ქოლერიკის განწყობა არამდგრადია, თვით წვრილმანებიც კი ახდენს მასზე გავლენას. ქოლერიკი აგზნებადია, თავმოყვარე, სწორხაზოვანი, სწრაფი მეტყველება აქვს ცვალებადი ინტონაციებით.

მელანქოლიკი აწეული მგრძნობელობისაა, თანამგრძნობი, იოლად მოწყვლადი, ძნელად, ნელა ადაპტირდება და ეგუება ცხოვრებისეულ ცვლილებებს. ექსტრემალურ სიტუაციებში უჩნდება პანიკური შიში, უიმედობის მდგომარეობა, სევდა. ძალზე ავადმყოფურად გადააქვს წარუმატებლობა, ძლიერად აქვს განვითარებული „ბუნებრივი სიფრთხილის" რეფლექსი და ამიტომ მორცხვია, მშიშარა და გადაუწყვეტელი. როგორც წესი, ეჭვით უყურებს ხუმრობებს და ირონიულ გამონათქვამებს.

გონებრივი საქმიანობა. აზროვნების, მეხსიერებისა და წარმოსახვის წყალობით განისაზღვრება ჩენი ცნობიერება თვითშემეცნება. განსაკუთრებულ ინტერსს უკავშირდება ისეთი გონებრივი უნარები და მათი განვითარება, როგორიცაა: ყურადღებიანობა, შემართება, დაძაბული შრომისადმი მზაობა.

ნება. ნება ადამიანის უნარია გადალახოს

წინააღმდეგობები, მიაღწიოს დასახულ მიზანს. ის ვლინდება ხასიათის ისეთ ნიშნებში, როგორიცაა მიზანდასახულება, გაბედულება, სიმამაცე. ხასიათის მოცემული ნიშნები შეიძლება ეხმარებოდეს როგორც კეთილსინდისიერ, ასევე ანტიჰუმანურ მიზნებს. ამისათვის მნიშვნელოვანია ადამიანის ქცევის მოტივის განსაზღვრა. თამამი ქცევა, რომლის მოტივი მდგომარეობს საერთო საქმის დახმარებაში, ატარებს სრულიად განსხვავებულ ფსიქოლოგიური ხასიათის ნებელობითი აქტიურობის მიხედვით ხასიათები იყოფა ძლიერად და სუსტად. ძლიერი ხასიათის ადამიანებს აქვთ მყარი მიზნები, ინიციატივები, თამამად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახდენენ მათ რეალიზებას, ახასიათებთ დიდი გამძლეობა, მამაცნი და გაბედულნი არიან.

ემოციები და გრძნობები. ფროიდი ყურადღებით შენიშნავდა, რომ ადამიანის ქცევის თითოეული პროგრამა ორიენტირებულია სიამოვნების მოტივებზე. მკვეთრად მოტივირებადი ემოციები ასახავს ადამიანის დამოკიდებულებას საგნებთან თუ მოვლენებთან მათ ჩვენ გრძნობებს ვუწოდებთ. ფსიქოლოგიაში გამოყოფენ უმაღლეს ადამიანურ გრძნობებს: მორალურს, ინტელექტუალურს, ესთეტიკურს. მორალური გრძნობები წარმოიქმნება ადამიანის ზნეობრივი განცდების მეშვეობით, რომელიც საკუთარ თუ სხვა ქცევებს უკავშირდება, ისეთი მორალური გრძნობები როგორიცაა საზოგადოებრივი მოვალეობა პატიოსნება, სიამაყე, სიყვარული, სირცხვილი ადამიანის თვითშეგნებას ამძაფრებს, არეგულირებს მის ქცევას, განაპირობებს ადამიანების მიმართ პატივისცემით დამოკიდებულებას.

ინტელექტუალური გრძნობები დაკავშირებულია შემოქმედებით-შემეცნებითი მოთხოვნილებების და პიროვნების ინტერესთა დაკმაყოფილებასთან.

ესთეტიური გრძნობები გამოიხატება ადამიანის მიერ მშვენიერების განცდით რეალობაში და ხელოვნებაში. ის მჭიდროდ უკავშირდება მორალურ, ინტელექტუალურ გრძნობებს და ეს ყველაფერი ერთად ძლიერ სუბიექტურ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანის პიროვნების „დასაზღვევად", მისი ფსიქიკის შესაძლო სტანდარტიზაციისგან, სინამდვილის ერთგვაროვანი აღქმისაგან.

უნარები ბუნებრივ მონაცემთა განვითარებული მდგომარეობაა. ობიექტური კეთილდღეობითი ფაქტორია პიროვნების წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. ყველა უნარის მოქნილი გამოყენება საშუალებას იძლევა მრავალი პრობლემის გადაწყვეტისათვის. განასხვავებენ საერთო და სპეციალურ უნარებს. პირველს მიეკუთვნება ისეთი ფსიქიკური თვისებები, როგორიცაა ყურადღება, დამკვირვებლობა, დამახსოვრება, შემოქმედებითი წარმოსახვა, განსჯისუნარიანობა.

მეორეს თვისებები, რომელთაც აქვთ გარკვეული სახის მოღვაწეობისთვის მნიშვნელობა, მაგალითად, გამომგონებლური უნარები, მათემატიკური უნარები, აბსტრაქტული აზროვნება, ანალიზისა და სინთეზისაკენ მიდრეკილება, ორგანიზატორული უნარები.

ხასიათი (ბერძნულად – თვისება, განსაკუთრებულობა) – ესაა ფსიქიკურ ინდივიდუალურ თვისებათა ერთობლიობა. ადამიანი არ იბადება მოცემული ხასიათით. ხასიათი ფორმირდება მისი აქტიური ცხოველისმყოფელობითი მრავალფეროვნების პროცესში.

ხასიათის საერთო მახასიათებლები ვლინდება პიროვნების სამოქალაქო მოვალეობებისადმი ადამიანებისა და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებებში.

საინტერსოა დ. პერსის კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყოფენ ხასიათის შემდეგ ტიპებს:

- პრომეთეს ინტუიციური-რაციონალური დევიზით: „საუკეთესო ვიყო ყველა წამოწყებაში";
- აპოლონი ინტუიციურ-ემოციური დევიზით: „დე შენ იყო მართალი საკუთარი თავის წინაშე";
- დიონისე – მგრძნობიარე სენსორული დევიზით: „ადრე დავწვები ადრე ავდგები.

ადამიანების მიმართ დამოკიდებულება. ადამიანებს ახასიათებს ურთიერთობები თავაზიანობა, კეთილმოსურნეობა და ხასიათის სხვა ნიშნები. ამ ნიშანთა ანტიპოდებია ჩაკეტილობა, უტაქტობა, არაკეთილმოსურნეობა. როგორც ამტკიცებდა ვ. ჰიუგო ყოველ ადამიანს სამი ხასიათი აქვს, ის, რომელსაც მას მიაწერენ, ის, რომელსაც ის თავისთავს მიაწერს და ის, რომელიც არის სინამდვილეში.

საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება – საკუთარ ქმედებათა შეფასება, ერთ-ერთი პირობაა, პიროვნების სრულყოფისათვის ხასიათის ისეთი თვისებების გამომუშავებისთვის, როგორიცაა: თავმდაბლობა, პრინციპულობა, თვითდისციპლინა. ხასიათის უარყოფითი ნიშნებია ზეაწეული თვითშეფასება, ქედმაღლობა და ტრაბახი. ადამიანი ასეთი თვისებებით ჩვეულებრივ ვერ ეწერება კოლექტივში უნებლიედ ქმნის მასში კონფლიქტურ სიტუაციებს.

პიროვნების საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური თვისებები. საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები სოციალურად მოპოვებადია. მათი შექმნის მექანიზმებია საზოგადოების ცხოვრებისეული წყობა, ადამიანის ადამიანური გარემოცვა, მისი მუშაობა საკუთარ თავზე. ამ თვისებათა ფორმირებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომელშიც „ჩაწერილია" პიროვნება, მის მიერ საკუთარი თავის ფორმირების უნარი, ისე რომ არ დათრგუნოს საკუთარი პიროვნული

ღირსებები და გაითვალისწინოს ცივილიზაციის სულიერი ფასეულობები. განვიხილოთ პიროვნების ამ თავისებურებათა სტრუქტურა.

სოციალური გრძნობები ჩნდება, როგორც მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (დაუკმაყოფილებლობა) შედეგი. სოციალურ ურთიერთობებისადმი მოთხოვნილებებით, გარკვეულ ადამიანთა ჯგუფისადმი კუთვნილებიდან გამომდინარე. სოციალური გრძნობები ვლინდება როგორც მოტივირებული განცდები. მაგალითად, ნაციონალური ან ნათესაური გრძნობები, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ სოციალურ გრძნობას, როგორიცაა: პატრიოტიზმი, რელიგიური გრძნობები, რაც უფრო მეტ ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს იძენს ადამიანი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი სოციალური განცდების მოცულობა.

სოციალური გრძნობები დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე: აერთიანებს (უპირისპირებს) მათ, განაწყობს ერთობლივი (ინდივიდუალური) მოქმედებებისკენ, შეუძლია გამოიწვიოს კონსოლიდაცია ან შეურიგებელი კონფრონტაცია. ღირებულებითი ორიენტაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანის ქცევის რეგულირების ფსიქოლოგიურ მექანიზმში. ისინი ასახავენ პიროვნების ფსიქოლოგიურ განწყობას, რომელიც არა მხოლოდ მისი მოთხოვნების სიმძაფრეზე, არამედ საზოგადოებრივ აზრზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირებაში სოციალურ გარემოცვას, დემოგრაფიული გარემოს აზრს გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს. გარკვეულ ასაკში, მაგალითად, მოზარდობისა და სიყმაწვილის პერიოდში, როდესაც მსოფლმხედველობითი პოზიციები ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ღირებულებით ორიენტაციები აქტიურად ზემოქმედებენ ქცევის მოტივაციაზე, გემოვნების ჩამოყალიბებაზე, მიდრეკილებათა გამოვლენის ხასიათზე. დიდია მათ როლი მოზრდილი ადამიანების ცხოვრებაში, რაც ხშირად ვლინდება მათი მიდრეკილებების და მტკიცებების მათი მსოფლშეგრძნებების თავისებურებებში.

სოციალური განწყობა. გამოხატავს ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება ადამიანის წინასწარი განწყობით აღიქვას ობიექტი, ან სუბიექტი იმპულსურ დონეზე, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე და გამოავლინოს მის მიმართ თავისი ვერბალური და არავერბალური ურთიერთობა. უზნაძე აღნიშნავდა, რომ სოციალური განწყობა ყოველთვის იმპულსურად ვლინდება და გამოყოფდა მის ემოციურობასა და ადამიანთა ქცევის გამოვლენის უშუალობას. სოციალური განწყობა ფაქტორია, რომელიც გასაზღვრავს პიროვნების მიერ ინფორმაციის აღქმის ხასიათს და მის მიმართ დამოკიდებულებას. თუ წარმოგიდგენთ ჩვენს ფსიქიკურ ქცევებს სქემატურად მისი ისეთი მდგენლების სახით, როგორიცაა ქვეცნობიერი და ცნობიერი, სოციალურ განწყობა ვლინდება, როგორც ინდივიდის ასევე ჯგუფურ (მასობრივ) დონეზე და ფსიქოლოგიურ ხიდად იქცევა არაცნობიერიდან ცნობიერებისკენ. ატარებს რა თავისთავში გარკვეულ ყოფით (საზოგადოებრივად განპირობებულ) შინაარსს.

მისწრაფება (დაჟინება) – მოლოდინი. აკვიატება-მისწრაფება-მოლოდინი შეიძლება გამოიხატებოდეს პიროვნების რომელიღაც ინდივიდუალურ ინტერესში. მაგალითად, მიიღოს სპეციალური განათლება, გადაწყვიტოს ყოფითი პრობლემები, მას შეიძლება ჰქონდეს ასევე ინტიმური ხასიათი პირადი და არა მის სოციალურ-პროფესიულ მდგომარეობაზე გავლენის მომხდენი მნიშვნელობა. მაგალითად, ყურადღების ნიშნების გამოვლენა (კომპლიმენტის ან მადლიერების) სახით ხელმძღვანელის მხრიდან, მის მიერ თანამშრომლების პროფესიული ზრდისადმი ყურადღების გამოვლენა. მთლიანობაში აკვიატება-მოლოდინის ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პერსონალთან ინდივიდუალური მუშაობისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიკერი, ორგანიზაციისა და პერსონალის ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა 2004;

2. სონინა, პროფესიონალის ფსიქოლოგიური სივრცე, სმოლენსკი, 2004.

INDIVIDUAL PERSONALITY TRAITS

MERAB ONIANI - PhD of GTU

Summary

Considering the individual differences of humans, it is possible to create a more perfect idea around them, as well as on their typology. Knowledge of psychological types aims at developing a manager's awareness so that the effectiveness of management during the decision-making process is raised; so that he establishes good relations with a personnel and manages to ensure the high work-related motivation of the relevant employees. The professional environment, with an emphasis on interpersonal relations, requires from the manager to understand the employees, colleagues and clientele, and to have an ability to fit with their individual needs, as well as their preferences and their style of acting. All the aforementioned is a precondition of the manager's capability to turn into a specialist of successful interpersonal relations.